განდი ცილდება მატერიალურ ძალდატანების უარყოფას, იძულებული შექმნა შეეხება ახალი სიტყვა, ამ წმინდა მორალური ბრძოლის აღსანიშნავად—ეს სიტყვაა სატყვარება (ძალა სიმართლისა, ძალა სულისა, ფიხკურ ძალის წინააღმდეგ.)

არასოდეს ის არ ევაჯერებოდა სინდისს. ის მოხსანდებ ამხედრდა აჯანყებულებზე, როდესაც იმით მოიმარჯვეს იარაღი ინგლისის პოლიციის და არმიის მტეკურ სისასტიკის საპასუხოდ.

სამეჯურ შეაჩრა მან რეკოლიუკია, რომელსაც უმეც აწყობდა გეგანტური მასსა ახის ნახევარკუნძულისა.

გასაოკარი შემთხვევაა ერთი კაცის ასეთი ვაგუნდა მასსაზე, მაგრამ მინც ძალიან სახფეთათია, რადგან შეუძლია ძირშივე ჩაახარის სახალხო მოძრაობა. სწორედ ამისათვის განდიმ დაიმსახურა საყვედური თავისი მიმღვერებისაგანაც. თავისი გამოსვლებით მან მიაღწია იმას რომ ხალხი დაემორჩილა მის დაბატმირებას, რომელიც თვითონ განდი სთელიდა აუტელმობათ. ამასთან ერთად მას უფრო, ვიდრე სხვას რომელიმეს ესმოდა, რომ მისი იძულებული უსამქურობა: მიაყენებდა ძლიერ ზიანს სახალხო მოძრაობას. მაგრამ ეს უარის თქმა თანამშრომლობაზე, ეს მორალური ძალადობა შეითვისა-განდიმ, არა მარტო მისთვის, რომ ეს შეეფერებოდა მის რბილ სულიერ განწყობილებას არამედ რომ რევიორმატორის ნებისყოფა გამოეყენებინა ქვეშაირით და კეთილშობილი ადამიანური გზით.

მას სწამდა თავისი მეთოდის მოქმედი ძალა, მას კიდევ არ დაიწყებოდა სამხრეთ აფრიკის ოცი წლის ბრძოლის შედეგები. აქ მან გადაარჩინა განდაღვრებისაგან ინგლისის კოლონიის ას ორმოცდა ათი ათასიანი არმია ინგლისის კულებისა. მაშასადამე ეს ხერხი იყო სერიოზული და კარგათაც გამოტეხილი.

მ დროს როდესაც ინდოეთი გამოერკვა თავისი გეგანტური ლეტარგიის ძილისაგან, განთავისუფლებას ორი დაბრკოლება უშლიდა. პირველი და უფრო სერიოზული: დასაქულობა, რომელიც იყო შედეგი რელიგიურ შულისა ვედსტებისა და მუსულმანების შორის, კასტების გაუტებრობის შექმნისა და კოლოკავთა გამარჯვებისა. მეორე მიზეზი: მატერიალური ძლიერება ინგლისისა, ფიხკური ძალა ხელისუფლებისა. განდი გერ შეგებოდა პირველ დაბრკოლებას—თითქოს მეორეს ვერც ვერ ამჩნევდა. საქირია მხედველობაში გვექონდეს, რომ ინდოეთი დღევანდლამდე მოკლებულია საშუალება იმპაროს ძალა.

ის თითქმის სრულეობით განიარაღებულია, (ინდუს არ აქვს ნება სანადირო თოფის ტარებისაც კი) და ამის გარდა ისტორიამ აღზარდა მასსაში უფრო ადამიანური მოთმინება, ვიდრე შეიარაღებული გამოსვლების წყურვილი.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა წინააღმდეგობის ილდის ქვეშ საქმე ინდუსების გაერთიანებისა მალე გამაგრდა. ნაციონალური გრძობა ჩამოყალიბდა ეკონომიკურ პრეტენციებში ამტყვევდა ნაციონალური ენა: „მე არა-

არის ინდოეთი განთავისუფლდეს ძალადობით ვიდრე სამუდამით დარჩეს მონათ? თავის მონობაში ის მონაწილეა ძალადობის და მოჩივლებით ეხმარება ტირანისა.“
და ჩვენ ვამბობთ: ლენინი რომ ყოფილიყო განდის ადგილს, ის იძულებული იქნებოდა და ელაპარაკა ისე როგორც ლაპარაკობდა ვანდი.

მიეცა სწორეთ ისეთი ფორმა გამყვეფელთა და გაყვეფელითა ბრძოლასთვის. იმისთვის რომ ეს ორი



საქართველს კომპარტის მე 3-ეკრილობა „ზაპკს“ სამუშაო ადგილზე, განათარის სამუშაოების დათვლიერება

სოდეს არ ეურჩევდი არა წინააღმდეგობას, როგორც უმაღლეს სიმართლეს და საბოლოო მიზანს. არა წინააღმდეგობა, რომელსაც მე ვკადეტები მხოლოდ საშუალებაა პოლიტიკური ბრძოლისა. ეს ტაქტიკა შეიძლება უარყოფილ იქნას, როგორც უფარგისი თუ საკირო იქნება. და კონგრესის წევრებმა გაიგონ: ან დავამთავრებთ ჩვენ ბრძოლას ერთ წელს, ანდა არ წინააღმდეგობით დალაღლენი შეორეს მოვიცილებთ ხელს.“

ეს განდის ერთი უქსანსელო განცხადებათავანი ნათელყოფენ ჩვენთვის ამ კითხვას.

მეორე ადგილი ამ სიტყვის კიდევ უფრო ამტკიცებს, როგორ დაშორებულია განდი მანიალურ არ წინააღმდეგობას „ჩემი შეხედულებით ხალხის მიზანია არა არ წინააღმდეგობა არამედ „სვარაი“. მართალია ჩემი შეხედულებით ეს ერთი და იგივეა. მე მგონია რომ მხოლოდ წინააღმდეგობით შეიძლება მივაღწიოთ „სვარაი“-ს, მაგრამ მე არა ერთხელ გამიგორებია, ნუ თუ უტყეისი არ

აღმაიხი ეთი ჯიშისანი არიან, შორს მკერტელნი და სწორი ტყუისა, რომელთაც შეუძლიათ იანგარიშონ მომხიუ და მოწინააღმდეგე მანსები.

ჩვენ ვართ მოწმენი ორი ერთიანი ტრაგედიის, რომელიც გათამაშებული იყო ქვეყნის სხვა და სხვა იდეებით ამხედრებულნი. ჩვენ ვუყურებთ სოციალურ მასსეებს, რომელიც გაქვნილინი არიან ძირიან ფესვიანათ სოციალურ გადატრიალებისათვის.

ამ მასსებს ერთი მიზანი აქვთ: დამყარონ თავისი წესწყობილება არსებულ წესწყობილების ნაცვლათ, რომელიც ერთი მუჟა მუჟთა ხორას ინტერესებისათვის, სილარიმეში და გაკვირებაში იმყოფება ძალიან დიდი ნაწილი ხალხისა. მაგრამ მთელი საშინელება მდგომარეობს იმაში, რომ ტენციური და მეცნიერული პროგრესი და თანამედროვე ცენტრალიზაცია მუბატონეთა ხელშია და ძლიერ მწვავე ხასიათს აძლევს სოციალურ სიმბიზის ცენტრის გადახასს, რომელსაც განდმა და ჩვენ ერთად უწოდეთ სოციალური რევიოლუცია.



არის საშუალება ვაიძულოთ ხელის უფლება დატოვოს მართვა გამგობა ერთი მოლაპარაკებით და მეორე იძულებით. ლენინი იძულებითისაკენ იხრება, აგრეთვე განდიც.

არც ინგლისის არც რუსეთის ბურჟუაზია არ დაეცემა დაჯერებას, საჭიროა ისინი ვაიძულოთ დაგნებდნენ. რუსეთის მასსამ პირველმა ქვეყანაზე შეასრულა თავისი, თავის განთავისუფლების საქმე. შინაური მტერი განადგურებულია. ეხლა დგანან პირისპირ მთელი ქვეყნის მტერთან.

ახალი წესრიგი საგნებისა, მხოლოდ ახალი გულია, რომელიც ძველ მთელი ქვეყნისათვის, და მესამე ინტერნაციონალის შტოები და პერიფერიები მხოლოდ ჩანასახს აჩვენებენ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ჯერ კიდევ ხორცი არ შეუსხამს.

და თუ ახლოს დაეკვირდებით ვანდის მოძრაობას, მაშინ გამოჩნდება, რომ ინდოეთს უჭირავს თავისი საპატრიო ადგილი საერთო გადაჯუფების სისტემაში, ზნობრივი იარაღი, რომელიც ჩაბარებული აქვთ მათ ეხლანდელი გამარჯვებით არ სთიშავს მათ საერთო ძმურ საქმიანობას.

ამასთან „პასიური წინააღმდეგობა“ თუ შეიძლება ასე გამოვსთქვათ გვევლინება საერთო პირველ სადებუროთ, რომლისგანაც მონური შეგნება გარდაიქმნება კლასობრივ შეგნებათ.

ბევრს გამოუცდია რევოლუციონერის თვალში საერთაშორისო გაფიცვა, მხოლოდ პროლოგია რევოლუციის.

შემდეგ? ნუ დაიწყებთ თამაშობას სიტყვებით— ვინ გაბედვს თქვას, რომ მას არ შეუბღალავს თავისი თავი ძალდატანებით თავის ნებაზე.

პასიურ წინააღმდეგობის დროის ქვეშ, რომ გზავნიდნენ ათასობით და ათათასობით ხალხს სასიკვდილოთ და საწვავლებლათ.

როდესაც ვითხოვობთ საშინელ წვალების ამებებს, რომელიც გამოცადეს სანტავარახებმა ციხეებში ბრიტანის აგენტებისაგან დახვრება ბატონებისაგან, ანდა როდესაც გაიგებ როგორ სიკვდილ მიდიან თვითმკვლელობაში, ინგლისის ჯოხის ქვეშ, მაშინ ძნელი ამასთან ერთად შეაერთოდ „არ წინააღმდეგობა“. ამ ძალამ სიმართლემ, ამ ძალამ სულმა, რომელმაც აამხედრა ინდოეთი, ამანვე აამხედრა რუსეთიც. ეს მომქმედი სოფლმშენებლობა პირდაპირ ეთანხმება იმას რაც გამოიმუშავა ვანდის, როდესაც მას მოუხდა მასებთან შეხედრება.

ნუ დაივიწყებთ, რომ ვანდის აზრმა გაიარა ევოლუციით, პირველათ კანონმდებელი და რეფორმატორი

ის შეიქნა თანდათან რევოლუციონერად, და თვითელ მის ზნობრივ გამარჯვებით ის უახლოვდებოდა საერთაშორისო კომუნისტს.

რადღან საშუალებები კაპიტალიზმთან ბრძოლაში გასაკვირველ შემთხვევით ყველან იღებს ერთს და იმავე ფორმას და არის ისეთი საფეხური, როდესაც ზნობრივი ძალა და მეცნიერული შორს ვაჭვერება არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ძირითად განსხვავება განდისა და დასავლეთის რევოლუციონერებს შორის მიეწერება იმას, რომ ის უარყოფს მატერიალურ კულტურის პროგრესს.

ის უზნობს პირველ ყოფნას და უარს ეუბნება ცივილიზაციის ტენიკურ ზრდას. ეს პატრიარქალური აზრის გადახრა პაუერნიზმის და ხალხის გალატაკების მეტის მეტ უბრალო ახსნის შედეგია.

ვანდი რომ გასცნობოდა საერთაშორისო კომუნისტს და რომ სცოდნოდა ის მეცნიერული სახარება, რომელიც საუფქლოდ უდევს საბჭოთა რესპუბლიკის ორგანიზაციას, მას რომ სცოდნოდა რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხების მიმართ, ხელშეკრულებანი ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავგანისტანთან და ის ზომები, რომელსაც საბჭოთა ფედერაცია ხმარობს მცირე რიცხოვან ხალხების დასაცავით, ის უსათუოდ გადადგამდა უფრო გაბედულ ნაბიჯებს დაახლოვებისთვის, რომელიც უიმისითაც უსათუოდ მოსალოდნელია. რასაკვირველია ის შესძლებდა გამოეყო ძლიერი და ურყევი პრინციპები, რომელიც გამოიმუშავა ხუთი წლის რევოლუციაში ხალხმა, თავისი ზნობრივი დოკტრინა მესამე ინტერნაციონალის დამარბამეებელ მაგალითებით. ის მიინდომებდა მოეცილებოდა მისთვის სასიკვდილო საწამლავე რეფორმატორობის და სიტყვიერი ფეტიშიზმი.

რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? რადღან ვანდი არ შედის მთელი ქვეყნის ინტერნაციონალურ ბლოკში და რადღან მის აზრებსა და კომუნისტების აზრთა შორის არის მიმსგავსება უფრო და უფრო ღრმა და მრავალ რიცხოვანი. საჭიროა შეეკნათ მუდმივი და შინაგანი კავშირი აღმოსავლეთის და დასავლეთის რევოლუციონერ მოძრაობათა შორის. გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი, შეიცანით ერთმანეთი, თქვენ რომელნიც ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში იძლევით მაგალითებს უსაზღვრო თავგანწირვისას რადღან ინგლისელები ხომ საუცხოვო ხარისხის ქვეყნის ყარალები არიან, სძულხართ თქვენ ერთი და იმავე სიმუხვით, თქვენ ხომ იცნებთ ერთნაირად აყენებთ მოქმედების აზრს, თქვენ ხომ თქვენივე სურვილით სისხლად და ხორც ასხამთ პრპტიკას სიტყვას!...





ს ა მ ი უ მ ხ ვ ე დ რ ა .

გამოვენიშვნილობით ბათუმს.

„ჭრივის“ გემით მიეცურავთ სტამბოლისაკენ.

ათ დღეს მოუვრდით ბოსფორამდე მოსვლას. ანატოლიის ყოველ ნავთსადგურში მთელი დღეობით ჩერდებოდა ჩვენი გემი.

ჩამოვიარეთ რიზე, ტრაპიზონი, სამსუნე, ორდუე კირასუნე.

ზუნგულდაკში ედგებვართ მთელი ორი დღე. ქვა-ნახშირით იტვირთება ჩვენი გემი. მარსელამდის საკვებს იმზადებს.

ერთი კვირის განმავლობაში ყველა მოგზაურებმა გაცივანით ერთმანეთი.

ბევრი შინაურადაც დავვახლოვდით.

მე ხშირად ეუმასპინძლდებოდი თეთრი და წითელი ნაფურეულით, სხვა დარღმინდები კი დღე გამოსძებნიდენ ნეტქარათ სასმელ „ბენედიქტინს“ ან „შერი ბრანდის“ და სადილის შემდეგ ვატარებდით დროს, ათასფეროვან მასალათში.

ძალიან ხშირად მიყვარდა აგრეთვე ქანდაკის თამაში.

ერთი კვირის განმავლობაში ყველას ნიჭი ესცაღდებოდა ვარჯიშობაში, მაგრამ ღირსეული ტოლი არავინ შემხვდა. ყველასთან გრადანელი გამოვდექი.

მიყვარს კი კარგი მოთამაშე, მაგრამ უფრო მიყვარს, თუ მიუხედავად კარგი თამაშისა—მინც მე ვაჯობებ.

მეორე დღეს მოვიარე მთელი ზუნგულდაკის მალაორობები.

შთაბეჭდილებით დატვირთული, დალილ-დაქანცული და გაუფრული დავბრუნდი გემზე. ვისადილეო.

რამდენიმე პირს ვეთამაშე ქანდაკი. გამარჯვება ისევ ჩემია, როგორც ყოველთვის.

წყნარათ მოიღის ერთი ქალიშვილი, სუფრის ბოლოში რამ მუდამ ჩუმათ იჯდა ხოლმე. და მეუბნება.

— ერთხელ მეც ვეთამაშებოთ.

— თუ კი მოისურვებთ, გავართთ გული!

დახსენდით. შევეუდღეთ თამაშს.

მე აინუშში არ ჩავივდე იგი. ყველასთან ვეთამაშებულე—დარღმინდულათ ვეთამაშები მასაც.

მე მხოლოდ შესიამოვნება, რომ საბაბი მომეცა მისი გაცნობისა.

რამდენიმე ფიგურა უკვე წავაგე ულაზათოდ.

— ყოჩაღ გოგონი, ყოჩაღ!

— ეგრე მოსცხთ ჩვენ ქებულ ფალავანს, ყველა რომ დაგვიბოიყვ.

მე შევეუცადე საქმეს გამოსწორებას, მაგრამ ველარაფერი მეშველა. საბოლოო გამარჯვება ჩემ მოწინააღმდეგეს დარჩა.

— ერთი კიდ ვეთამაშოთ!

დავიწყეთ.

მთელი მარიაფათი მოვიხმარე მინც წაგებულე დავრჩი.

— ჩამდუაზელ! მომიკაცვია თითი! მე არ ველოდი! მან წყნარად ვაიღიმა. იმას ათაფერი ავეკირებს ამ ქვეყანაზე.

თუმცა ქანდაკში დავმარცხდი, მაგრამ თავი მიგებულათ მიმანია, რადგან გაცივანი ეს გოგონა.

იგი თავის დასთან ჩუმათა ზის სუფრის ბოლოში. მისი მაღალი სიტყვა ჯერ არ გამიგია ოდესმე.

მხოლოდ მარადიული ღიმილი სახიდან არ შორდება, თუმცა არ ვიცი, ეს ნამდვილი ღიმილი იყო თუ რამე ტანჯვა, ან ფიქრი უნებღებელი, ან დაცინვა წუთისთვისა.

— თქვენი სახელი?

— ლიუბ...

— არ მომწონს ეგ სახელი! გვაჩი?

— პანჩენკო.

— ეს ლამაზია!

— ავიდეთ ზევით! ზღვას უტკირით!

— გამიძებნით წინ!

ავიდით ბაქანზე. გემის ბოლოში მოვსძებნეთ ყუდარი კუბი.

— მალდუაზელ პანჩენკო! თქვენ რალაც განუტყრელი სევდა გაწუხებთ!

— შეიძლება.

— მაშ თქვენი წაუშლელი ღიმილა რას მოასწავებს?

— მე განა ვიღიმიები?

— ყოველთვის, ნუ თუ სარკეში არ ჩავიხედავთ?

— ღიმილი განა ასეთია?

— ოო,ღიმილი ათსნაირია!. მაგრამ თქვენი სახეც მარად მღიმარება, თუმცა უქანაურად, რომლის ბადალიც ჯერ არ შემიხვედრია მთელ სიცოცხლეში.

— თქვენ უფრო მეტ ყურადღებას მაქცევთ, ვიდრე ღირს ვარ.

— თქვენ უფრო მეტის ღირს ხართ, მაგრამ მეტი სითამაშე ვაი თუ თავებობას დავდაროს.

განუმადა ქალი. ზღვას ჩასცქერის. სხვადა სხვა ფერი მელუხები აზიზ-მაზიზათ ლიელოვებენ კამკამა სიღრმეში.

უცქერის ქალი ამ ზღვას გატკეცილ სიღრმეს და ვერ მიმხედარვარ: იქა ჰკრეფს ფეკრებს, თუ იქ მარხავს ფეკრებს.

სიჩუმე გავგიგრძელდა. უხერხულობა ვიგრძენი.

— თქვენ უკრაინელი ბრძანდებით, მადმუაზელ?

— დიდი! არ არის ძნელი გამოსაცნობი.

— შორს მიემგზავრებით!

— არ ვიცა. სტამბოლამდის კი მივიალ და მერე არ ვიცა.

— თქვენ გაწუხებთ რალაც მოუსვენრობა.

— მე მაწუხებს მთელი სიცოცხლე.

— თქვენ ლტოლვილი ბრძანდებით?

— დიდი. დენკინის ჯართან ერთად მე და ჩემი დაც გამოვიქციეთ.


— რათა? განა თქვენ სამშობლოში თქვენი სამყოფი ადგილი აღარ იყო?

— ყველა გამობრძოდა. ჩვენც წამოვიდით. ჩემი ძმა დენკინთან ავიტრად იყო. მისი გამოჯავრებით შეიძლება ჩვენც დავესაჯეთ. თან გამომეცა ოთხი მილიონი, ისიც გზაში მომპარეს. სულს აქეთ აღარაფერი მაქვს.



— მაშ რა უნდა ქნათ შემდეგში?
 — არ ვიცი. დღეზედ დღე რომ დამიმატონ საფეკრებლათ, მაინც არ ვიცი—რა გზას დავადგე. ამასთანავე ჩემი დაც ავადმყოფია. იმას არ შეუძლია ბევრი წვადება.
 — მერე სტამბოლში რათ მიდიხართ?
 — რა ვიცი! იყო გემი. გვექონდა ბილეთის ფული. დავსხედით და წავედით. განა სულ ერთი არ არის უპატრონო ბათუმში ვიქნებით, თუ სტამბოლში?
 — გაყოფ ვინმე ნაცნობი?
 — არავინ.
 — მაშ როგორ? ქალიშვილებისთვის კი გამბედაობა ევრე ლეთისანაბრათ უტხო მხარეში გადაკარგავ.
 — მე შინდა სწავლა. მე არავისგან არ ველი რამეს. მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ლტოვილთა დამხმარე კომიტეტმა მომცა სულ შვირედი რამ საშუალება—პა-

— მე არც ველი სხვა რამეს გარდა გაქირვებისა. ასე ვიბასეთ ვარგა ხანს. მე უფრო მეტად მომზიბლა მისმა სიმშვიდემ. და ღიმილი ხომ—ეს იყო რალც ლეთაებრივი, უკვდავი, მხატვრული. ის დარჩება ჩემ სსოენაში ისევე უცვლელად, როგორც ვარსკულავი ჩრდილოეთისა ცის კამარაზე.
 სამ დღეს კიდე ვიარეთ სტამბოლამდის.
 ამ ხნის განმავლობაში უფრო დავეახლავდით მე და ის ასული.
 ძალიან მიეჩვიე. მე თითქმის ველაუკ-კი წარმომედგინა, როგორ უნდა გავმოვიბოდი სტამბოლში ერთმანეთს.
 პანჩენკოც ერთობ თავდაჭერილი გოგონა იყო, მაგრამ მაინც აშკარად ვამჩნევდი, რომ იგიც მომეჩვია. მე ხომ ქალს ვუტკეპრო ყოველთვის როგორც მგელი,



საქართველოს კომპარტიის მე-3 ყრილობა: „ზაჰეს“ სამუშაო ადგილზე, 21+40 პალაბის ტინიბის მილის დათვლიერება.

როიში წაელ მხატვრობა მიყვარს განსაკუთრებით. ამ ხელოვნებაში ნაცადიცა მაქვს ჩემი ძალ-ღონე. თუ ეს ნატვრა შემისრულდა, მაშინ წარსლის დანაჯარგს აინუმში-აც არ ჩავაგდებ. მაგრამ არა მაქვს იმედი. ჩემი ბედისა კარგი არაფერი მჯერა.

— ეგ საუთოფო საქმეა.
 — დიად. მე არცა მჯერა მაგის შესრულება. მაგრამ ადამიანს მაინც უყვარს ოცნება, სანამ პირში სული უდგია.
 — ... ვინ იცის სად რა მოგელით! ამასთანავე თქვენარი ვარდახვეწილებით უკვე სასხეა მთელი ევროპა. ადელიათ შეგლას არ უნდა ელოდეთ საიდანმე.

როგორც მამაკაცი მაგრამ მოხდა ეს ერთი სასწაული და იმ ასულს ვუტკეპროდი როგორც მშვენიერ სურათს სიცოცხლის მუხურუმში.

იგი მომავონებდა ტბის თეთრს შროშანს, რომლის სილამაზითაც სტკებება ადამიანი მხოლოდ ნაპირიდან.

ნორჩი სატატკორივით ატყორცნილი მისი ტანი მე არ მახელებდა ვაფერის თრობით.

მისმა ღიმილმა სულ სხვა ანდამატურის ძალით დამიპყრო: მსურდა მექვირტა მისი სახე ყოველთვის, დაულოლავდ.



იგი სახე გადაემშალა მრავალ საიდუმლოთა უცნაურ წიგნად, ჯერ უცნობ სილამაზეთა აღმოუქითხე წიგნად. მისი ლიბილი ხომ თავისი სიღრმით და მიმზიდველობით სულ გავიწყებდა ზღვასა და მის შორეულ კიდეს. ბევრს ენაბრებოდა ჩვენი დაახლოვება.

ნაწინაო ვაგებში ორჭოფულად ჩამკრავდენ თვალს. მეც ვიფერებდი.

სად ამეხსნა ყველასათვის საიდუმლოების ზღვიდან ამოტივტივებული იშვიათი განძობა, რომელიც უცხო იყო აქნობამდის თვით ჩემთვის!

ბავშური ნატერა! უფრო კი გიჟური! მინდა ვასცდეს სტამბოლი ჰიბრალტარს, მექსიკას, რომ უფრო მეტხანს ვიყო ერთად იმ ასულთან. მაგრამ ჩვენ უკვე შეგკურადით ბოსფორში.

ედემის მსგავსი ნაპირები მარჯვნივ და მარცხნივ გვეკალაშებინ ახალი და ახალი სილამაზით.

პირველი ვახაფხულით ატეხილი ხეხილოვანი ქალები მიწის სიხარულს ანთებენ გულში.

კოსტა-კოსტა სასახლენი და ძველებური ჩათხობალი კოშკები მრავლათ მოსცურავენ ჩვენ თვალ წინ. და ყველაფერი ეს იწვევს რალაკა მძიმე სევდას, რადგან ყველაფერი გვაახლოვებს სტამბოლთან, განშორებისთან...

აგერ სტამბოლიც თავისი საზღაპრო პანორამით ნებაჲ შუადღის მაგიერ მთვარიანი შუალამე იყვებს, მაშინ უფრო მომხიბლავი იქნება შორეული. იერი სტამბოლისა.

დიდებულ მერქთების წყარწება მინარეტებნი თვალს იტაცებენ საღლიცა ცის სიმაღლეში და გავიწყდება ძირს ქალაქის არსებობა.

ცის დაბლა ჩამოსვლა და მიწის მაღლა ასვლა მხოლოდ აქ ვიხილე ესე აშკარად იმ მინარეტების ცქერით. მარა ყველაფერი ეს სიაშე იჩრდილება მომავალის განშორებით.

გემი უკვე გაჩერდა. პანჩენკო და თავისი და ჩამოვიდენ.

- მშვიდობით!
- მშვიდობით!
- თქვენ ხომ აქ იქნებით კიდევ?
- მხოლოდ ერთ დღეს. ხვალ კი დაიძრება გემი მარსელისაკენ.
- მაშ ქალაქში შევხვდებით კიდევ?
- შეიძლება.

ასე უჯიშოდ გავშორდით, რადგან მრავალი თვალის მოსწერებოდა ყურადღებით ჩვენს ვაიმომშვიდობებებს. მეც ჩაუმახრე ბევრი რომ გულში და იმ გოგონამაც. ეს ვიგარქენით ორთავემ კარგათ. ამიტომ ვაპატიეთ ერთმანეთს ასეთი სისასტიკე განშორებისა.

სიღამოზე კიდევ შევხდით ერთმანეთს გალატას ხიდზე, გაგეხარდა, თითქოს მთელი წელიწადი არ გვენახოს ერთმანეთით.

მე ვიყავი ამხანაგებთან ერთად, ის კიდევ თავის დასთან.

კიდევ ჩავარდით უზერხულ გარემოებაში.

- მაშ თქვენ მიემგზავრებით ხვალ?
- უეჭველათ.
- მაშ მშვიდობით! ალბათ აღარა დროს არ შევხვდებით ერთმანეთს.
- უსათოვოთ მოიწერიეთ ან პარიზში, ან მიონენში როგორც დიფინერეთ—ისე.
- ვნახოთ. მშვიდობით!
- მშვიდობით! გასურებთ ყოველ სიკეთეს!
- ეს იყო და ესა, ამით მორჩა ჩვენი პირველი შეხვედრა.

ეხლა გეტვით ჩემს მეორე შეხვედრას. ჟინისოდ რა ფასი აქვს ამ თხრობას? მეორე დღეს მივეციეთ თავი მარსელის გზას. ექვს დღეს საშინელ ლღვაში გვიხდებოდა მოგზაურობა.

გუტქერლი დარდაწელი სიმაგრეულ სიმაგრეებს, საბერძნეთის ხროკიან მთებს. ცეცხლის ფრქვევით ღებანკულ ეტნას და სტრომბოლას ბოლვას ცის მაღალ გუბმათში. მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი პანჩენკოზე და იმის წაუშლელ ღიმილზე.

ოო, იმაზე ლამაზი, ქალი ბევრი მიწახანს დელამიწის ზურგზე, მაგრამ ისეთი იშვიათი და ძლიერი შთაბეჭდილება მაგონი არავის დაუტოვია ჩემს ხსოვნაში.

მე მუვიავი საფრანგეთი, ვადმოვედი გერმანიაში. მას შემდეგ უკვე გავიდა რვა თვე.

მე არავითარი წერილი არ მიმიღია არც პარიზში და არც მიონენში.

რა ვუყოთ! ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სასიამოვნო მგზაურობის შემდეგ.

მე კი მაინც ძალიან ხშირათ ვფიქრობდი იმ გოგონაზე.

ამ წინებზე ერთ საკომერციო საქმეზე მომიხდა სტამბოლში წასვლა.

თქვენ უკვე გრობობთ, რომ ჩემი მეორე შეხვედრა პანჩენკოსთან აქ უნდა იყოს.

დიად! ეს მართალია.

მაგრამ ყველაფერი თავის წესზე.

შამორის ციგმა ქარმა გუნება მოსძრა. შევდივარ პერსიკ ერთ ყავახანაში, რომ გადავკრა თბილი რძე.

ვზივარ ჩემთვის და ვფიქრობ ათასგვარ ზედმეტ რამეზე.

ჩემ პირდაპირი სარკეში ვხედავ ზურვით მჯდომ ერთ ქალიშვილს.

იგი მოსჩანდა კოსტა და ყელყელა.

უფრო მეტად მომეწონა კიდევ მისი სამოსი: შავ ქათიზაში საუცხოვოდ იყო ჩაქსოვილი შვინდის ფერი ზოლებით.

მისთან ვიღაც კაციც იჯდა.

ქცევაზე ეტყობოდათ, რომ იგინი სულ ახალი გაცნობილი არიან.

მაგრამ მე არც თუ იმდენ ყურადღებას ვაქცევ. სტამბოლი იმ დროს სავსე იყო მრავალი ჯგურის ლამაზი ქალებით და მათი მუშტარი მამაკაცებით.



მე გავუსწორე ანგარიში და გამოვედი ქუჩაში. ვდგავარ ქარბთან და ვფიქრობ—საით წაიდევ. ამ დროს გამოდიან ის ქალ-ჯაიცი. პირველივე შეხვედვაზე ეციანი—ეს იყო პანჩენკოს ასული.

მან ვერ დამინახა. ორთავემ ჩემ წინ გამოიარეს. უსუნებმა ჭრუნტელმა ელექტროსავით დამკრა ტანში.

ავყვი ფეხდაფეხ. მიენრთებოდა გავიგო რამე: ვინ არის ის კაცი? რათ აცვია ესე კოხტები? რა იქნა მისი სიყვარული მხატვრობისადმი? კიდევ ულიმის სახე ისე ლფიებობდა, გულში ჩამწლობათ? ყურთა სმენა გამიმახვილდა. ქარიც ჩემსკენ უბერავს და მესმის ნაწყვეტ-ნაწყვეტთა ასეთი ლაპარაკი:

- ათ ლირას მოგცემთ!
- ოცზე ნაკლებ არ შემიძლია!
- სასტუმროშიც გაგიმასპინძლებთ!
- ეგ თქვენი საქმეა. მე კი ოცი ლირა მომეცით და!
- ხომ იცით ეხლა ლაპაზი ქალები ჯოგოვით არიან სტამბოლში.

— როგორც გენებოთ! მე არ შემიძლია. ეს ხომ ჩემი ხელობა არ არის!.. მე მხოლოდ გაქირებებისთვის... დაცა მყავს ლოგინათ ჩავარდნილი, ათი ლირით რა უნდა გავეწყო!..

- კარგი, თხოთმეტი იყოს!
- არა.
- მაშ მშვიდობით! სხვას მოვსძებნით უფრო იაფად. კაცი მიღის.
- პანჩენკო დგას გაშვებული ქუჩაში. გული სწყლება. ეტყობა უნდა დაუძახოს და ველარ მოუხერხებია.

მე ჩაფურავ გატაწყვეტით გვერდზე. — მადმუაზელ! წამოდი ჩემთან! მიანებეთ იმ ძუნწს თავი!

- თან სახეს ვარიდებ, რომ ვერ მიცნოს.
- აი თქვენი ოც და ათი ლირა. მაგრამ მე დღეს არა მცალია თქვენთან დროს გასატარებელათ.
- ისე ვერ გამოგართმევთ.
- არა უშასკლა! ხვალ შეგხვდები „პარიზის კაფეში“ და მაშინ იყოს!..

- მე უხერხულად მერგენება.
- ნუ გეხატობებთ, ოც და ათი ლირა ჩემთვის არა-ფერია, მხოლოდ დღეს მეტი არა მაქვს.
- ეს იშვიათი, შემთხვევაა.
- მაშ აიღეთ!..

გოგონამ გამომართვა უხერხულად ფული, მაგრამ ელექტროსი შექმე უეცრივ მიცნო და გაშეშდა.

- ...არ ელოდით ჩემგან!
- განებეთ თავი მაგის დრო არ არის!
- ძალიან გამიჭირდა... ძნელი ყოფილა სიმშლილი... უბნობა... ჩემი დაც ლოგინათ ჩავარდა... სხვა გზა არა მქონდა...

— არ მინდა გოგონა ახსნა! გულს რათ იბოროტებ! ამ აუცილებლობას თითქმის წინათვე ვგრძნობდი, ოცა ლევის ანაბართ მოეფურებოდი ამ უცხო ქვეყანაში. პანჩენკო შეჩერდა. შეფიქრიანდა.

ის ღიმილი ისევ წაუშლელია მის სახეზე. მხოლოდ ვამჩნევ—რალაცა სიმწარის ზოლებიც ჩაწვინა შიგ.

უხერხული სიჩუმის შემდეგ ისევე უხერხულად მეტ-სება თითქოს კვლიდან ძალის ძალით შჩხედეს რალაც სიცილებლის ელდებში.

— მე ვიღებ თქვენ დახმარებას. მაგრამ მინდა მინც მადლობა გადაგიხადოთ უეკველად. მხოლოდ როგორ? თუ მოგწონებართ და მიკადრებთ!..

— განა თქვენი თვითონ არ იცით, რომ მომწონხართ, მაგრამ...

- მე სხვა საშუალება არა მაქვს მადლობის ვადა. სახდელად. მაშ ნუ გვიკრია!
- ნუ გეშინიანთ! მე არა გზრახავთ არაფერზე! ან რა უფლება მაქვს.

—...ან გაქირებებით სიცილი უნდა მერჩია, ან ეს გზა. სიცილებელ დამძლია.. მერეა და ჩემი დაც სულ უპატრონოთ იყო...

- მე ხომ მსჯავრს არა გდებთ?..
- პანჩენკო უჩერდა ხელეღმის მტკრევით. რალაც უნდა სთქვას, მაგრამ ვერ მოუძებნია თავი და ბოლო. მითხარით, რა გაუწუხებთ ეგრე ძიელ?
- მე ძალიან დამავალეთ თქვენი გულკეთილობით. ჩენი საერთო მოგზაურობიდანაც წარუშლელი შთაბეჭდილება ჩამრჩა... ამიტომ ერთი რამეზე უნდა დამთანხმდეთ.

- ბრძანეთ! ვეცდები—შეგვარდეთ.
- ხვალ, დღის თერთმეტ საათზე უეკველათ მობრძანდით ჩენსა თერთმეტ საათზე.
- საქმე გაქვთ რაზე?
- დია! ძალიან საჭირო! ამ ჩენი ხან მოკლე მაგრამ აღსანიშნავი ნაცნობობის დასავგირგვენებლათ მინდა ერთი იშვიათი დროება გაატარებინოთ.

- როგორ?
- თქვენ ნახავთ ხვალ. ისეთ დროებას გადატარებინებთ რომ მთელ სიცილებში არ დაგავიწყდეთ. მხოლოდ უეკველათ უნდა მოხვიდეთ.
- თუ კი დრო მექნება!..
- არა! უეკველათ იშოვეთ საამისო დრო გთხოვთ ეს ერთი რამე აუცილებელად შემიძრულოთ. გარწმუნებთ დაუეწყვარ დროებას გაატარებთ და მეც ძალიან მასთან მოვინებთ.

— თუ კი თქვენ ვაკრ დაიხინებთა გსურთ, მეც შეგისრულებთ მაგ თხოვნას.

- მაძლევთ პირობას გადაწყვეტით?
- უეკველათ!
- მაშ ეხლა ვავშორდებით. ღამე მშვიდობისათ!
- გამარჯვებით!
- არ დაგავიწყდეთ ხვალ სრულ თერთმეტ საათზე გელთ „ოტელ ბელეაჟ“, პერაზე. არ მომბატყუოთ!
- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ—სიტყვას არ ვადავალ.

— გენდობით! ასე ვავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს ადრე ავდგები. მაგრამ სულ დამეკარვა ხალისი ყოველგვარ საქმისა. მოუსვენარათ ველი თერთმეტი საათის მოახლოვებას.

დრო საშინლათ ვაგრძელდა. ასე მეგონა—ამდენი ხნის განმავლობაში დაბერებდასაც კი მოვანწყრებ მეტქი.



როგორც იქნა მოახლოვდა ვადა.

სრულ თერთმეტ საათზე მივადექი „ოტელ ბელვიჟს“. რაღაც ერუნტელი მივლის. თითქოს ოფლსაც მას-ხავს. გულში ბობოქრობენ რაღაცა გრძნობანი. თავს სულ სხვანაირადა ვგრძობ ვყოველმხრივ.

შევაღე სასტუმროს კარი.

არავინა სჩანს. არც პატრონი, არც მოსამსახურე. დათვაღ ამოვიკეთებ პანჩენის გვარი.

მესამე საართული: ოცდაპანჯეტი ნომერი.

აივდი თუ არა, დერეფანშივე შეხვდა პატრონი.

— თქვენ ვინა გნებავთ?

— მადნუჯულ პ.ნჩენკო? ხუთი წუთის წინეთ თავი მოიწამლა.

— რას მეუბნები?

— დიდა, თავი მოიწამლა. ქაფური დალია.

— გარდაიცვალა?

— ეს არას ეხლა დალია სული.

— აქ შემომესმა მისი დის ვადარეული წვილიც.

მე გავშეშდი. აღარ ვიცი — სად წავიდე.

ჩემს ირგვლივ შეიკრენ ქვეყნის გზები..

„— ისეთ დროებას ვაგატარებინებთ, რომ მიელ სიცოცხლეში არ დაგვიწყდეთო!“

დიადო! მთელი სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს სასიკვდილო რანდელე იმ ბედისგან განწირულ ასულთან“.

ლევ. შატრაველი.

ან რ ი ბ ი ზ ო .

ქვემოდ მოყვანილი წერილი ეკუთვნის ნიჭიერ ფრანგ დერნისტს ანრი გილბოს.

ანრი გილბოს პოლიტიკური და ლიტერატურული სახელი საქმოდ ცნობილია. ომის და რუსეთის რევოლუციის დროს მან სახელი მიიხვეჭა უფრო პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე (ცნობილია, რომ საფრანგეთში მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს), მაგრამ ომამდე იგი ცხოველ მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ ბრძოლაში. წყურლობაში იგი ყოველთვის მოწინავე რაზმებში იდგა, ებრძოდა დახვესებულ წარსულს და აკადემიზმს. თავის მხურვალე და აშკარად გამოთქმულ კრიტიკისათვის მან ბევრი მტერი შეიძინა. მიი დაბრუნება ლიტერატურაში დიდის კმაყოფილებით იქნა აღნიშნული. მისი ლექსთა კრებულში „Kraskremi“ (წითელი კრემლი) შეიცავს რამოდენიმე ლექსს, რომელიც ავტორმა დასწერა საბჭოთა რუ-

სეთში ყოფნის დროს. აქ იხატება გილბოს ალფრთოვანება რუსეთის რევოლუციის წინაშე.

ლექსში: „მოსკოვი“ (დაბეჭდა ჟურნალ „გრადემ-ლის“ მე-7 №-ში 1923 წ.) ჟილბო იძღვრა 1921 წლის შემოდგომის მოსკოვის აღწერას. მისი „ვოლგას სიმღერები“ — ეს დიდი ფლმაა, სადაც ჩვენ წინ იშლებიან ქალაქები და პეიზაჟები. მოსკოვიდან ასტარხანამდე — ყველაფერი გადმოცემულია ცოცხლად, დინამიურად. მისი სასიყვარულო პოემები საესეა ექსპრესიით, ენებით, ძალით, ვაბეჭდით — და თან მოკლებული არიან სანტიმენტულობას. ზოგიერთ თავის ნაწარმოებში პოეტი სცილობს აღადგინის საშუალო საუკუნეთა „chanson de geste“ (მიხეტეთა სიმღერები) მოდერნიზაციის ქვეშ. ისე როგორც წინეთ უმღეროდნენ რანდთა გემობას — ანრი გილბო შთაგონებას ეძიებს რევოლუციონერ მითოლოგიაში და ტემად ირჩევს სამ რუსეთიდან მომავალ ამხანაგის დაღუპვის ამბავს.

ჯერ კიდევ ომამდე ანრი გილბო ერთი დამარცხელთაგანი იყო იმ ლიტერატურულ მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „დინამიზმი და თავის „წითელ კრემლი“ ის ქვეშაირტად ადასტურებს ამ სახელწოდები სისწორეს.

„...ეს კოლოსალური ნაწარმოებია, მაგრამ ისეთი არცვია შიგ მშენიერებასა და სიმახინჯისა, რომ მე არ ვიცი რას მივაკუთნო იგო“ — ამბობს ერთი ფრანგი კრიტიკოს ჟურნალ „Lumière“-ში გილბოს „წითელ კრემლზე“.

საფრანგეთის მიმდინარეობანი ომის შემდეგ.

ძნელია თანამედროვე ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობებში გარკვევა: იმდენი წინააღმდეგობა, სიძულვილი და შეჯახება დაგროვილი მათში.

ლიტერატურა, რომელიც გამოხატავს სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ ჭრთი ერთობის სურათს, რევისტრაციას უკეთებს მათ წინააღმდეგობას და ქაოსს, თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურის პირველ რიგში, იქ, სადაც სღანან იხინი, ვინც სცილობენ მსოფლიოს „ვარდაქმნას“, ჩვენ ვხედავთ ადვირახსნილ და ველურ იმ პერიოდისთვის სახეს.

შეიკრეს მხრით ძნელი მითითება უკვე დაბეჭდილ სახელმძღვანელოებისა იმითთვის, ვინც მოსურვებდა გარკვევას ამ არეულ მდგომარეობაში, რადგან მეტად მცო-



1. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე ანზ. დაკობა. 2. აფხაზეთის ცაკის თავჯდომარის მოადგილე ანზ. გვეგლია. 3. აფხაზეთის ცაკის თავჯდომარე ანზ. ჩაჩბა.



კომ. დ. არაყიშვილი.

ნან. მისივე შვილისა.

რეა რიცხვი თანამედროვე თხზულებათა ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის დარგში. ფლორიან პარმანტიეს (Florian Parmantier) ისტორია, რომელიც იძლევა უხბულეს ლიტერატურის სრულ სურათს, უკვე დაძვედულად უნდა ჩაითვალოს; რაც შეეხება უფრო ახალ რენე ლალუს ნაწარმოებს (Rene Lalou „Histoire de litterature française contemporaine“ იგი შვიცავს შესაწინვე ნაკლს რადგან არაა სრული და გამსჭვალულია ტენდენციით.

დღევანდელ ლიტერატურის დამახასიათებელი გეზი დიდად ვანირჩევა ომის წინა დროის ლიტერატურისაკენ; თუმცა მასში მაინც მოსჩანს იმავე გეზის გაგრძელება, ზოგჯერ პირდაპირი და ზოგჯერ შეწყვეტილი.

როგორც ნატურალიზმის შემაბამდე მიმართულ რეაქციას, სიმბოლიზმმა ხელი შეუწყო ინდივიდუალიზმის, სექტიციზმის და ეზოტერიზმის განვითარებას. ზოგი სიმბოლიზტი—მწერალი აშკარად აცხადებენ თავის სიტუაციის საზოგადოებისადმი და ირჩევენ თავის ნაწარმოებთა ისეთ გადმოცემას, რომელიც არ უნდა გავრცელდეს.

პესიმოზის ნიშანი— ანარქია, რომელმაც მოიცვა საფრანგეთის ინტელიგენცია 1870 წლის დამარცხების შემდეგ, უფრო მეტად გამწვავდა ნიცშეს იდეების გავრცელების შემდეგ. მაგრამ მოქმედების საკუთრებამ და პოზიტიურმა პროგრამამ ჯერ კიდევ 1914 წლის ომამდე დაარბილეს ნიდილიზმის მატარებელი მწერლები. ეგოცენტრიზმიდან და ინტერნაციონალიზმისაკენ, თუმცა ეს ორივე მიმართულება მასში არ იყო საბოლოოდ გამართული. ფრანსმა და ზარესმა, რენანის და ტენის მოწაფეებმა, ერთმა მარჯვნივ—მეორემ მარცხნივან მიატრევს ეკვების ნიადაგი.

თავის შთავონებულ და ვასაოცარ ნაწარმოებით ემილ ვერპარნმა მოვეიტანა მაგარი ოპტიმიზმი, რიტმი, ტენიკა და სოციალური გარკვეული გეზი. უოტ უიტმენის (Walt Whitman) გავლენამ, რომელიც გაძფუნდა ნიცი-შენილოზის შემდეგ, გააფართოვა ვერპარნის სახარება. ბოლოს რომენ როლანის „უან კრისტიანი“ მოველინა ახალგაზდა ფრანგ მწერლებს როგორც ძლიერი გამამაგრებელი საშუალება.

სამი ნაწარმოებია, ჩემის აზრით, დამახასიათებელი ამ ჯერ კიდევ დაუშთავრებულ, ლიტერატურულ პერიოდისთვის: Henri Trank „La danse devant l'arche“ ანრი ფრანკ. ცეკვა აღსახარულს წინაშე.) Jullis Romains „La vie unanime“ ეიულ რომენ უნანიმისტური ცხოვრება და Charles Vildrac „La Iuure d'amous“ („წიფნი სიყვარულისა“—ზარლ ვილდრაკ).

ომმა მოახდინა გათიშვა.

ახალ ქვეყნის დამყარების რწმენა ირყევა, და იმპერიალიზმი ავიღოდა იმონებს გაურკვეველ იდეოლოგიის მქონე თითქმის ყველა ფრანგ მწერალს. ჰიპნოზი და მსტერია საერთო ხასიათის მოგონად ხდება. მაგრამ მალე რომენ როლანი იმაღლებს ხმას „An. dessus de la melée“—ში, და ანრი ბარბუსი „ცეცხლში ხატავს დამაზრინებელი და მძლავრ სურათს ფორმის ახალი ფურნალები და ზოგიერთი მწერალი ცდილობს შეგბრძოლოს შოვინიზმის მომდგარ ტალღებს.

ომის პირველ დღიდან რომენ როლანს თავისთვის არ უღალატებია. მას შერჩა რენანისებური სექტიციზმი და რომანტიული კულტი თავისუფლებისა; პირიქით ბარბუსს ჯერ იტაცებს შოვინიზმი, შემდეგ ვილსონიზმი, რომ ბოლოს დაადგეს უფრო მტკიცე იდეოლოგიის ვიდრე რომენ როლანს აქვს.

„ცეცხლის“ შემდეგ ბარბუსი იძლევა „სიცხადეს; იგი შთავონებს იწვევს მთელ რიგ ინტელიგენტებში, როს მელნიც გატაცებულია მშვენიერი მისწოდებით, მაგრამ მეტად არეული იდეები აქვთ.

„ქურნალი კლარტი“, რომელიც გამოდის ბარბუსის მეფარველობის ქვეშ და რომელსაც უკვე თვალსაჩინო მოღვაწეები ყავს საბჭოთა რუსეთის გაცნობის და შეყვარების საქმეში, მაინც ჯერ კიდევ მიჯაჭვულია ძველი ქვეყნის სულღებზე და ვერ სწყვეტს კავშირს წარსულთან. ამითი აიხსნება, რომ ბევრი ინტელიგენტი არ მიემხრო უურნალის მიერ დაწყებულ მოძრაობას. მე არ ვლაპარაკობ დიუამელზე და სხვა რომენ-როლანისტებზე, რომელნიც თავის სულმოკლეობის წყალობით შეუწინდინეს „კლარტს“ კულტურულ და ზომიერ პროგრამას. მე მეიდველომაში მყავს რამოდენიმე „ექსტრემიზმი“ გატაცებული მწერალი, რომელიც არ მისწონთ ამ ორგანოს პაიკიზიზმი და გაურკვეველობა. საერთოდ ცხადია, რომ „კლარტს“—ს ვასავალი არა აქვს. იგი არავის არ აკმაყოფილებს.

პირველ ხანებში ზავის შემდეგამ სამხედრო ლიტერატურის დიდი გასავალი ჰქონდა. იმეკლებოდა მრავალი



რომანი, მოთხრობა, მოგონება, შენიშვნები ომზე, ჯარისკაცთა წერილები—განუზრებელ გემოვნებისა და ნიჭისა. რომღენიმედ ეს იაფ-ფასიან სამხედრო ჟურნალისტიკის გავრცელება იყო, მაგრამ საბუნდუნოდ ეს მოძრაობა მკვლევარობადაა.

ერთნაირის ვაგებით „დადიბში“ იყო რეაქცია ამ სპეციალურ ტიპის ლიტერატურის წინააღმდეგ—სიყვე როგორც თანაბარ პროპორციების ალებით, სიმეოლიზმით ოპონირდა იყო ნატურალიზმისა.

მაშინ, როდესაც დიდ-ტანიანი ჟურნალები და ყველა ისინი, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს საფრანგეთის აკადემიასთან, უარყოფით ეცილებოდნენ და ედავებოდნენ მოწინავე ლიტერატურულ შრომებს, „დადიბში“ მუდამელოდდა და მის პროპაგანდას ეწეოდა ანდრე იდი „Nouvelle revue française“-ში ანრი ბიდი („Bidon“-Rivue de Paris“ და „Journal des Debats“-ში, ახირებული ამავაია: დაიდასტური მოძრაობა შექმნა შეიცარიაში ომის დროს რამდენიმე ვილიომ აპოლინერის თავყვანს-მეტივობა დაღვანელდა გერმანელა და უნგრელმა ხუბარამ და ყველაზე უფრო ვადაფორებულ ნაციონალისტურ ფრანგ ბეურალთა წყალობით კი იგი ვახდა თანამედროვე („მოლის“) მოძრაობად.

ნუ თუ ამით ცხადი არაა, რომ „დადიბში“ გამოხატავდა მხოლოდ ერთი დღის მოთხოვნილებას და აკმაყოფილებდა ბურჟუაზიის საკანონო ნაწილის სულს-კეთების, განსაკუთრებით „nouvelad riches“-ების (ახალ გამდიდრებულების), რომელთაც არ ეციოდნენ რა ეწათ თავის მოცლოლ დროსთვის, გემოვნებისთვის და ფულიათვის. სამედიო ლიტერატურის მგვახსენ დადასტურებ „ლიტერატურაც მკვლევარი“. ზოგიერთი ამ დადასტური მწერლებს წრიდან არ იყვენ მოკლებული ნიჭს (კუკუა, „Potamok“; არაგონ „Anicet“; ფილიპ სოპო და სხვ.).

ამათი მსწავლებლები იყვენ აპოლინერი და მაქს ეკობი, ორი პოეტი, რომელთა მნიშვნელობა ვადამეტებულად მიიღეს არა თუ ცალკე წრეებში, არამედ საზღვარ გარეთაც; ესენი—იუმორისტები, რომელნიც ვანიციდენ კერძოდ რემბოს ვაგენისა. საერთოდ რემბოს ვაგენა შესამნივად ვაიხარდა უკანასკნელ წლებში. შეიძლება დაღვეცივებით ესთვატა, რომ დღეს უიტმანი, ვერპარნი და რემბოა—ის სპეი პოეტი, რომელიც აძლევს მიმართულებას ფრანგულ ლირიკას. უკანასკნელი მიუხედავად სხვა და სხვა სკოლათა მოწინააღმდეგე ტენდენციებისა ტენნიკურ სფეროში ისწრაფის მძლავრ დინამიზმისაკენ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ერთი პოეტური ნაწარმოები, რომელიც იშვა 1918-დან 1924 წლამდე ვერ შედგენს იმით, მე რომ დავასახელებ ამ წერილის თავში და რომელნიც ეკუთვნენ ფრანკის, რომენის და ვილდრახის კალამს. ვილდრახის უკანასკნელი ნაწარმოები „Les chantes d'un desespere“ არაა მის ელგვიორ ნიჭის წინსულის მაჩვენებელი; რომინმა ვამოაქვეყნა პოემების სხვა და სხვა კრებული, მაგრამ ისინი მისივე „Vie unanime“-ზე ვაცილებით მომლა დგანან. მაგრამ უკანასკნელი მისი ორგენტაცია რომენისა და თეატრისკენა მიმართული, სადაც მეფობს მისი მეგობარი,—და დღეს მეტოქე,—ყოფი დოჰაქელი.

რომანმა, ყველა ფორმებში, ანალიტიურმა ფსიხოლოგიურმა და თავგადასავალის რომანმა,—თითქოს სძლია პოეზიას.

მეტად დამახასიათებელი მოვლენაა, საერთოდ რომანისტიკისა და ასეტებისათვის, ის რომ წინააღმდეგ სიმეოლისტიკისა, დღევანდელ ფრანგ მწერლებს სწუყრიათ ფართო ნაზოგადობა და დიდი ტრიაყი. ესენი ბოძოლას კი არ უტახდენენ თავიანთ ეპოქას პირითი იმსკვლავბიან მისი სულით, იძირებთან შიგ და ვადამოქცემენ მას მრავალ ფერადებით და სახეებით. ყველა ახალგაზღვა მწერალს მოქმედების მოთხოვნილება ემწნევა, ამოძრავებს სურვილი იძულებით ვაზიაროს თავის წრემენას. შეიკავებს ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი თავისებურ „აქტივიზმს“ იჩენენ.

ომის წინ რომენ როლანი ერთად ერთი იყო, ვინც ვაბედა ვამოსვლა ფართოდ ვაშლიდა და უხარმაზარ პროპორციების ნაწარმოებით, მისი ეან კრისტიანი („Jean Christophe“) მოკავდათ როგორც სრულიად განსაკუთრებული მოვლენა. რამდენიმე თვის წინეთ ვარდაცლობა მარსელ პრუსტმა (Marsel Proust) თავის სტიაში A la recherche dn temps perdu“ ვადაქაბა ბოლანს. სხვა რომანისტიკის, თუმც არ შეუქმნიათ ესოდენ „ახანგრძლივ სუნთქვის ნაწარმოები, მაგრამ მაინც სკემდნენ ჩვეულებრივ ფორმატზე უფრო დიდ წიგნებს: ასე, მაგ., აბელ გერმანმა (Abel Hermant), რომელიც მიუხედავად მისი ნიჭისა, ანტიბოლშევიზმისა და „პარიზულ“ თანამშრომლობისა „Temps“-ში მაინც არაა მიღებული „ორმოცის“ წრეში, ოთხ ტომში მისკაც ვასაქანი თავის რამოდენიმე მწეწმობულ ჰუმორის „ლორდ შევლეს ციკლში“ (Le cycle de lord Chelsea“). დავასახელებთ კიდევ როყენ მარტენ დე ვარს (Rogin Martin du gard) მის მავარ და გრძელ ფარმითლ მონრგრაფიით „Les Thibaut“ და ლუჟენ ფაბრის (Lucien Fabre) მის გრძელ რომანით „Rabevel“,—სადაც იგი სწავლობს თანამეორივე ფინანსისტია წერეს.


ახალ რომანისტიკის მისწრაფება, რათა შექმნან უსათუოდ დიდ ტანიანი ნაწარმოები—ერთ უშიავრეს დამახასიათებელ ხაზათ უნდა ჩაითვალს თანამედროვე საფრანგეთის ბელეტრისტიკისათვის.

თუმცა ყუველგვარ თვალსაზრისით რომენ როლანი და მარსელ პრუსტი მეტად განსხვავდებთან ერთი მეორესაგან, მაგრამ ამათ აერთებს ის, რომ ორივემ დასწერეს რომანები, რომელთა ზეგურეთა წყატიხვა ყუოდელ შეუძლებელია და რომ სახელიც მეტად ვიანი ვაითქვას, მაგრამ თითქოს საწავიგორო ვილოთ ერთთ მედლოთ, ფართო, მსოფლიო მასშტაბის სახელი. პრუსტის სახელი ვადაქარბმებულია. უყველია, რომ მან ალოდგინა ანალიტიურ რომანის უფლებები და მისი კუკუა, როგორც ეს აღნიშნეს კრიტიკოსებმა, მოვავაონებს მონტენს. მაგრამ იგი სზირად მეტად მუნდოეანი და ვადაქარბმებული ყურადღებით ეციდნება მიმავალ სალონებს და „შოის“ ქვეყანას. ხან და ხან იგი ორმოცდაათ და ას ვერის უთომბს ბრწყინვალე საზოგადოების წერილმანები აღწერს. ვერ კიდევ მის სიკაცულშივე, ხეთი წლის შემდეგ რაც მან სახელი მიიხეკვა, ლიტერატორებმა და სწიბებმა ლამაშის იქეთ მარსელ პრუსტის კლუბი დაარსეს.

პოლ მარანი ითვლება პრუსტის ერთ-ერთ მოწაფედ, მაგრამ არც სტილით და არც იდეებით იგი არა ჰგავს მას. პოლ მარანმა დაიწყო ლექსთა კრებულით, სადაც იყო ფერადებიანი ფანტაზია და თანამედროვე რიტმი. შემდეგ დასწერა ორი კრებული „Ouvest la nuit“ და „Fermé la nuit“, რომელთაც მისცეს მას დიდი სახელი. მისი ცოცხალ კოლორიტი, ელიპტიური მანერა და ჰუმორი მეტად სპეციფიურია. მან ქვეშაირულად შექმნა ადნრი, მაგრამ, სიმართლე რომ აღვიაროთ, იგი რამოდენიმე ხელგნურია და მისი იერი დრო და დრო ზერეულ და მსუბუქია. მისი უქანსკრელი ცდა—მას წინად გამოუგებული რომანი „Lemis et Jérôme.“ რომელიც გამოვიდა რომან „Rebtevel“-თან ერთად.

ბათა კრებული „Enfantines“ და სამი პატარა მოთხრობა ერთი სათაურით გაერთიანებული „Amants, hexux omanits“. აქ მან ღიღის ძალით და მოხდენილობით გამოიჩინა დაკვირვების, მამფრ იონისტის და მრავალფეროვან პეიზაჟების მოყვარულის ნიჭი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვალერი ლერბომ დიდებულად გადათარგმნა სამეულ ბუტლერი, დიდი და გასაოცარი ინგლისელი მწერალი, გარდაცვლილი 1902 წ., რომლის ნაწერებმა სახელი გაითქვეს ინგლისში მისი სიკედლის რამოდენიმე ღღის შემდეგ. ლარბო ამჯობინებს, რომ ილაპარაკონ ბუტლერის შემოქმედებაზე და არა მის საკუთარზე; ასეთი სულგრძელი გატაკება და უარყოფა ყოველგვარ გავლენაზე იზიარია მწერალთა შორის



აბასთუმანი—არახინო.

მორანში საგრძნობელია ერთგვარი ლიტერატურული „კოსმოპოლიტიზმი“-და ეს შეადგენს დღევანდელ ფრანგულ ლიტერატურის თვალსაჩინო ხაზს. 1920—1924 წლის მწერალი მეტს მოგზაურობს ვიდრე მისი წინამორბედები. აქ თავის გამოხატულებას პოულობს საციალურ განწყობილებათა შეცვლა. იმის ერთ-ერთი შედეგი ისიც იყო, რომ უფრო ხშირად ვიდრე წინეთ აიძულა ფრანგები თავის ქვეყნის ვარეთ—მოგზაურობისათვის. და ამის გამოძახილი აშკარა ფრანგ მწერლებში.

პოლ მარანზე გაკლებით მეტი „კოსმოპოლიტია“ ვალერი ლარბო (Yaléry Larbaud). უიტმანის აღფრთოვანებული თავყენისციემელი, დასაძინებელ ვაგონებს და საოკეანო გემებს დაწვეული, ვალერი ლარბო ხედნიწეწით იცნობს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას და კერძოთ—ინგლისურ და ამერიკულს. იმამდე მან სახელი გაითქვა თავის კურორსულ და ულტრა—მოდერნისტულ (მაგრამ არა ფურტურისტურ და არა დადაისტურ) ლექსთა კრებულით „Les poésies de A. O. Barnaboets, son journal intime“, ერთ საშბრეთ—ამერიკელ მილიარდრის მემორებით, სადაც იგი ცდილობს თავი გაიხიზიფულოს ყოველგვარ შევიწროებისაგან, რომელიც თან სდევს სიმდიდრეს. ამის შემდეგ ვალერი ლარბომ გამოსცა მოთხრო-

